ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15.15210575**
თარიღი:**26/02/2021**

„ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ხელმისაწვდომი საცხოვრისით სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული დანართი N1-ს - „ხელმისაწვდომი საცხოვრისის კრიტერიუმები“-ს:

ა) პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა – საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება ან/და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე;“.

ბ) მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ოჯახის ამჟამინდელი საცხოვრებლის (ბინა/სახლი) სტატუსი - ბინა/სახლი საკუთრებაში აქვს, ბინას/სახლს ქირაობს (ქირის ოდენობის მითითებით), ბინას/სახლს გირაობს, ცხოვრობს სხვა პირის (ნათესავის, არანათესავის, სახელმწიფოს) მიერ უსასყიდლოდ დათმობილ ბინაში/სახლში, ცხოვრობს არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართში;“.

გ) მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ოჯახი არ უნდა მიეკუთვნებოდეს სოციალურად დაუცველ ჯგუფს, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65 001-მდე;“.

2. წინამდებარე განკარგულება ვრცელდება მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ შემდგომი ეტაპების სარგებლობით დაინტერესებული პირების განაცხადებზე და მათ საფუძველზე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი